

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ბათუმი ნინოშვილის ქ., №35, ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ.ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფილოსოფია/Philosophy
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფილოსოფიის მაგისტრი/ Master of Philosophy
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	120 ECTS კრედიტი 90 ECTS კრედიტი სასწავლო კომპონენტი, მათ შორის – 45 ECTS სავალდებულო, 45 ECTS არჩევითი; 30 ECTS - სამაგისტრო ნაშრომი. პროგრამის ხანგრძლივობა: 2 აკადემიური წელი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: <ul style="list-style-type: none"> ➢ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; ➢ ერთიანი სამაგისტრო გამოცდები; ➢ ბსუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111-ე დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ დადგენილი შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები ინგლისურ ენასა (B2 დონე) და სპეციალობაში; ➢ მობილობის წესით (შიდა/გარე) ჩარიცხვა; ➢ უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით
საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობა	ფილოსოფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილია სამი მოდულით: ქართული ფილოსოფია თანამედროვეობის კონტექსტში (ევროპეიზმი საქართველოში), ეთიკა/გამოყენებითი ეთიკა და პოლიტიკური ფილოსოფია. პროგრამა აქტუალურია, რადგან: <ul style="list-style-type: none"> ➢ კაცობრიობის სულიერი განვითარების ყოველ ეტაპზე ფილოსოფიას განსაკუთრებული როლი ეკისრებოდა. ასეა დღესაც – თანამედროვე მსოფლიოში ხდება ღირებულებათა გადაფასება, მსოფლმხედველობრივი, პოლიტიკური და რელიგიური დაპირისპირებები და ბრძოლა. აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვეობის გლობალური პროცესების ფილოსოფიური გააზრება სულ უფრო მეტად აქტუალური და გადაუდებელი ამოცანა ხდება. ➢ ჩვენი ეპოქისთვის დამახასიათებელია არაერთი სპეციფიკური ნიშან-თვისება, რომელთა ანალიზი ფილოსოფიის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. აკადემიურ სივრცეში პრიორიტეტულია ადამიანის არსის დამახასიათებელი პრობლემების იმგვარი კვლევა, რომელიც ეთიკის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიისა და პოლიტიკური ფილოსოფიის საზღვრით საკითხებს აერთიანებს. ➢ უაღრესად მნიშვნელოვანია ამ პრობლემათა განხილვა ქართული ფილოსოფიის კუთხითაც, რაც თანამედროვე ფილოსოფიის კონტექსტში მისი ადგილისა და როლის განსაზღვრისთვის არის მნიშვნელოვანი. ამის შედეგად, ერთი მხრივ, მოხდება ქართული ფილოსოფიური აზროვნების ტრადიციის კვლევა თანამედროვეობის შუქზე, მეორე მხრივ, გამოიკვეთება ქართველი ფილოსოფოსების მიერ დასავლური ფილოსოფიური აზროვნების რეცეფციისა და

	<p>ტრანსფორმაციის თავისებურებანი, რაც ქართული ფილოსოფიური ტრადიციის შემდგომ კვლევა-ძიებასა და ანალიზს შეუწყობს ხელს.</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ თანამედროვე ეპოქა მეცნიერებისა და ტექნიკის მასშტაბური განვითარებით ხასიათდება, რაც ერთ-ერთ მწვავე პრობლემად პრაქტიკული გონების პრიმატის საკითხს აქცევს. საჭირო ხდება თეორიული განსჯისა და პრაქტიკის კომბინირება, ახლებური ხედვა, რაც თანამედროვე ფილოსოფიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა და წარმართველი პრინციპია. აქედან გამომდინარე, პრაქტიკული გონების პრინციპის უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმად დადგენა ეთიკისა და პოლიტიკური ფილოსოფიის შესწავლას განსაკუთრებულ აქტუალობას ანიჭებს და ამ ორ დარგს თანამედროვე ფილოსოფიის პრიორიტეტულ დარგებად წარმოაჩენს. ➤ თანამედროვე სამყაროს პოლიტიკური ინსტიტუტები ფილოსოფოსთა შემოქმედებაა. დემოკრატია, რესპუბლიკური მმართველობა, პოლიტიკური უფლებების თანასწორობა, ხელისუფლების დანაწილება, სამოქალაქო საზოგადოება, სახელმწიფო, როგორც ფიზიკურ ძალადობაზე მონოპოლია – ეს იდეები დასავლურ ფილოსოფიურ ტრადიციაში ამოიზარდა და დამუშავდა; დღეს ფილოსოფია აგრძელებს ახალი რევოლუციური იდეების შექმნას, მათ კვლავინდებურად აქვთ პრეტენზია – შეცვალონ ან შეინარჩუნონ სამყარო. მათ შორისაა ეკოლოგიზმი, ფემინიზმი, კოსმოპოლიტიზმი, ლიბერტარიანიზმი და სხვა. ➤ ეთიკისა და პოლიტიკური ფილოსოფიის მოდულების სწავლებით პროგრმა მიზნად ისახავს მოიწვიოს მსმენელები დიდ დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად ხელისუფლების, სახელმწიფოს, სამართლიანობის, თავისუფლების, თანასწორობის, ადამიანური ღირსების არსისა და ბუნების დასადგენად, აჩვენოს პოლიტიკის წარმოების ტექნოლოგია და მისი ეთიკური განზომილება, გააცნობიეროს პოლიტიკის სწორად წარმართვის გზები, მექანიზმები და ეთიკური სტანდარტები. სწორედ ამ გზით არის შესაძლებელი, სტუდენტი ღრმად და საფუძვლიანად ჩაწვდეს საზოგადოებრივი და პოლიტიკური პროცესების არსს, ზნეობრივი და პოლიტიკური გადაწყვეტილებების დილემებს და სპეციფიკას.
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>	<p>სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს უმაღლესი განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, ღრმა თეორიული ცოდნის მქონე კვალიფიციური სპეციალისტები ფილოსოფიაში, რომელთაც შეეძლება კრიტიკულად გაანალიზონ და განაზოგადონ ფილოსოფიური ტექსტები და გააღრმავონ ბაკალავრიატში შეძენილი ცოდნა. საგანმანათლებლო პროგრამა საშუალებას იძლევა მომზადდეს სპეციალისტი ფილოსოფიის დარგში, რომელსაც ექნება თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები ფილოსოფიის წინაშე არსებული თანამედროვე, აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად.</p> <p>მაგისტრანტი შეიძენს ღრმა და სისტემურ ცოდნას დასავლური ფილოსოფიური ტრადიციის რეცეფციისა და ტრანსფორმაციის შესახებ ქართულ აზროვნებაში, რის შედეგადაც შეძლებს ქართული ფილოსოფიის სპეციფიკის განსაზღვრას, მისი როლისა და მნიშვნელობის ჩვენებას თანამედროვე ფილოსოფიაში. გარდა ამისა, პროგრამის მაგისტრანტი სიღრმისეულად შეისწავლის ეთიკის, გამოყენებითი ეთიკის და პოლიტიკური ფილოსოფიის საკვანძო თემებსა და აქტუალურ პრობლემებს, რაც დაეფუძნება დასავლური ფილოსოფიის კლასიკოსი და თანამედროვე ავტორების ფუნდამენტურ ტექსტებს; მას შეეძლება როგორც დარგობრივი, ასევე ინტერდისციპლინარული ცოდნის სათანადოდ გამოყენება თანამედროვეობის აქტუალური ფილოსოფიური პრობლემების ანალიზის, იდენტიფიცირებისა და გადაჭრის პროცესში.</p>

<p>სწავლის შედეგები</p>	<p>კურსდამთავრებული ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ფილოსოფიური კვლევის თანამედროვე მეთოდებზე, სამეცნიერო ნაშრომის ფორმატისა და შედგენილობის, სტრუქტურისა და არქიტექტონიკის შესახებ; ➤ ფილოსოფიის ისტორიის, როგორც მეცნიერების, ევროპული და ქართული ფილოსოფიის, ეთიკისა და პოლიტიკური ფილოსოფიის მიმდინარეობების შესახებ, რაც მას ახალი იდეების შემუშავებისა და გარკვეული პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობას აძლევს. ➤ ახალი დროის ქართული ფილოსოფიის სპეციფიკის, ევროპული ფილოსოფიური აზროვნების და ქართველ ფილოსოფოსთა ნაშრომებში გატარებული ევროპული იდეების, თვალსაზრისებისა და ინტერპრეტაციების, კვლევის შედეგების შესახებ; ➤ ეთიკის თანამედროვე დარგებისა და ძირითადი კონცეფციების, რელიგიური ეთიკის კვლევის თანამედროვე ასპექტების, ეთიკისა და ფილოსოფიური ანთროპოლოგიის, ბიოეთიკის, როგორც ინტერდისციპლინური მეცნიერების პრობლემებისა და დილემების შესახებ; ➤ პოლიტიკური ფილოსოფიის საკვანძო ცნებების და ფენომენების, ძირითადი პარადიგმების, კლასიკური პოლიტიკური ფილოსოფიის არგუმენტაციის და რეცეფციის, თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის ტენდენციების, ფემინისტური პოლიტიკური ფილოსოფიის და ადამიანის უფლებათა ფილოსოფიის აქტუალური პრობლემების შესახებ. <p>აცნობიერებს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ფილოსოფიური კვლევის მეთოდის/მეთოდების მნიშვნელობას თანამედროვეობის აქტუალური პრობლემების ანალიზისას; ➤ ევროპული ფილოსოფიის საკვანძო თემებს, ფილოსოფიის ისტორიოგრაფიულ კონცეპტებსა და კატეგორიებს, რეცეფციისა და ტრანსფორმაციის როლს ახალი დროის ქართულ ფილოსოფიაში, ალეთეიოლოგიის ადგილს XX საუკუნის დასავლურ ფილოსოფიაში, ევროპული ფილოსოფიის ძირითადი მიმდინარეობების რეცეფციებს საქართველოში; ➤ თანამედროვეობაში ეთიკის სწავლების განსაკუთრებული აქტუალურობის განმაპირობებელ ფაქტორებს, ზნეობრივი პრინციპების, ნორმებისა და წესების პრიორიტეტულობას, ეთიკის პრაგმატულ მნიშვნელობას, მის კავშირს მეცნიერების სხვადასხვა დარგებთან; ➤ ეთიკისა და პოლიტიკური ფილოსოფიის საზღვრითი პრობლემების ურთიერთმიმართების სპეციფიკას, პოლიტიკური ფილოსოფიის აქტუალურ საკითხებს, პრობლემებსა და პერსპექტივებს, მათ შესახებ საჯარო დებატებსა და ძირითად მიდგომებს; ➤ პოლიტიკური ფენომენების (დემოკრატიის, ძალაუფლების, ადამიანის უფლებების და სხვ.) ცოდნის მნიშვნელობას თანამედროვე ადამიანის სააზროვნო ველში, მათი ჩამოყალიბების ისტორიულ კონტექსტებს, მათ ფილოსოფიურ საფუძვლებს, ფემინისტური პოლიტიკური ფილოსოფიის აქტუალურ პრობლემებს, მედიისა და ძალაუფლების კავშირს, ადამიანის უფლებათა ფილოსოფიის მთავარ კონცეპტებსა და კატეგორიებს. <p>უნარები:</p> <p>ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული ახდენს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ფილოსოფიის ისტორიის, ევროპული და ქართული ფილოსოფიის, ეთიკისა და პოლიტიკური ფილოსოფიის საკვანძო საკითხების ღრმა და სისტემურ ანალიზს; ➤ ევროპული და თანამედროვე ქართული ფილოსოფიის, ეთიკისა და პოლიტიკური ფილოსოფიის პრობლემების გააზრებას, მათი გადაჭრის გზების, მეთოდების ჩამოყალიბება-განხორციელებას. <p>აყალიბებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ზნეობრივ-პოლიტიკური მოვლენების ისტორიულ ხედვასა და კრიტიკულ შეფასებას; ➤ აკადემიური პატიოსნების, სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გათვალისწინებით, საკუთარი კვლევის შედეგების
--------------------------------	--

	<p>პრეზენტაციისა და დაცვის უნარს რეფერატის, ესსეს, სამეცნიერო სტატიისა და სამაგისტრო ნაშრომის სახით.</p> <p>ამუშავებს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ფილოსოფიურ ტექსტებსა და წყაროებს ფილოსოფიის კვლევითი მეთოდოლოგიის გამოყენებით და გეგმაზომიერად იყენებს შესაბამის კვლევით მეთოდებს დაგეგმილ სამეცნიერო საქმიანობაში; განვითარებული აქვს: ➤ ფილოსოფიური პრობლემების დამოუკიდებლად იდენტიფიცირებისა და კვლევის, ახალი იდეების შემუშავებისა და ინტერპრეტაციის უნარი; ➤ შემდგომი სწავლის დამოუკიდებლად დაგეგმვის, წარმართვისა და განხორციელების უნარი; <p>V. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პატივს სცემს ჰუმანიზმისა და დემოკრატიის მაღალ იდეალებს, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების როლსა და მნიშვნელობას საყოველთაო მშვიდობის დამკვიდრების პროცესში; ➤ იცავს თავისუფალი პიროვნების ქცევასადმი წაყენებულ პროფესიულ ეთიკურ სტანდარტებს, აკადემიურ ღირებულებებით ასპექტებს (მიუკერძოებლობა, შეუვალობა, თანასწორობა, კომპეტენცია და გულისხმიერება), თავადაც ახორციელებს მას თავის თეორიულ თუ პრაქტიკულ საქმიანობაში და საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობს აღნიშნული ღირებულებების დამკვიდრებაში; ➤ გეგმავს და მართავს სამუშაო დროს, შეიმუშავებს სტრატეგიულ მიდგომებს კვლევასთან მიმართებით ნაშრომის მოსამზადებლად;
<p>შეფასების წესი</p>	<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა.</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ–ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს შესაბამისად.</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ყოველ სასწავლო დისციპლინაში ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით (მიმდინარე აქტიურობის შეფასება – 40 ქულა, შუალედური გამოცდები - 20 ქულა, დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა).</p> <p>ყოველ კონკრეტულ სალექციო კურსში, მიმდინარე აქტიურობის ყველა კომპონენტში, სტუდენტს შეუძლია დააგროვოს ქულათა გარკვეული მაქსიმუმი. ქულათა მაქსიმუმი მითითებულია შესაბამის სილაბუსში და განისაზღვრება პროფესორის მიერ ინდივიდუალურად.</p> <p>დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა შუალედური შეფასება.</p> <p>შუალედური (მიმდინარე) შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 21 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა.</p> <p>სტუდენტის საბოლოო შეფასება:</p> <p>სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩათვლება, თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებებიდან: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.</p> <p>უარყოფითი შეფასებებია: (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა გავიდეს დამატებით გამოცდაზე. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლები ქულის მიღებისას სტუდენტს სალექციო კურსი თავიდან აქვს შესასწავლი.</p>
	<p>პროგრამის ხელმძღვანელები: ლალი ზაქარაძე, პროფესორი</p>

საკონტაქტო პირები	<p>საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ: 577 511115 ელ.ფოსტა: lali.zakaradze@bsu.edu.ge მიხეილ მახარაძე, პროფესორი</p> <p>საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ: 577 454531 ელ. ფოსტა: mikheil.makharadze@bsu.edu.ge ვარდო ბერიძე, ასოცირებული პროფესორი</p> <p>საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ: 577 145426 ელ. ფოსტა: vardo.beridze@bsu.edu.ge</p>
--------------------------	---